დამტკიცებულია შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიის

დირექტორის ბრძანებით 02/25. 16.09.2025

გაცდენილი გაკვეთილების ჩანაცვლების წესი

I.ზოგადი დებულებები

1.**მოცემული წესი განსაზღვრავს** სკოლაში გაცდენილი გაკვეთილების ჩანაცვლების წესრიგსა და პირობებს.

2. **წესის მიზანია** უზრუნველყოს სასწავლო პროცესის უწყვეტობა, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების დაცვა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების სრული ათვისება.

II .პასუხისმგებლობა

1.მასწავლებელი ვალდებულია: გაცდენილი გაკვეთილის ჩანაცვლება უზრუნველყოს დადგენილ ვადაში;

2.წინასწარ შეათანხმოს ჩანაცვლების თარიღი და ფორმა სასწავლო ნაწილთან;
3.მოახდინოს ჩანაცვლების ფაქტის დოკუმენტირება.

3.სასწავლო ნაწილი პასუხისმგებელია ჩანაცვლების კალენდრის დამტკიცებასა და ზედამხედველობაზე.

4.მოსწავლე ვალდებულია დაესწროს ჩანაცვლების გაკვეთილს და სრულად შეასრულოს მასწავლებლის მიერ მინიჭებული დავალებები;

III. ჩანაცვლების პირობები და ფორმები

1.გაცდენილი გაკვეთილი უნდა ჩანაცვლდეს არა უგვიანეს ორი კვირისა გაცდენის დღიდან. ჩანაცვლება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმებით:

დამატებითი გაკვეთილის ჩატარება სასწავლო დღის ბოლოს;

I. დამატებითი გაკვეთილის ჩატარება შაბათს ან სხვა დასვენების დღეს (მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში);

2.ონლაინ გაკვეთილის ჩატარება (საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე);

3 ინდივიდუალური ან ჯგუფური დავალებით ჩანაცვლება;

4. გაკვეთილის გაერთიანება სხვა კლასთან, შესაბამისი პირობების არსებობისას.

5; ერთ დღეს მოსწავლეს არ უნდა დაუგროვდეს გადატვირთული განრიგი (არაუმეტეს 7 აკადემიური საათისა).

IV. დოკუმენტირება

1.ყველა ჩანაცვლების ფაქტი ინიშნება გაცდენილი გაკვეთილების ჟურნალში.

2.ფორსმაჟორული გარემოებისას (გაკვეთილის ჩაშლა, საგანგებო მდგომარეობა, ტექნიკური შეფერხება) ჩანაცვლების ფორმა და ვადა განისაზღვრება სასწავლო ნაწილის გადაწყვეტილებით.

V. განსაკუთრებული შემთხვევები

1. მასწავლებლის ხანგრძლივი არყოფნისას (შრომისუუნარობის ფურცელი, მივლინება და სხვა) სკოლა დაშნავს შემცვლელ მასწავლებელს;

2.ფორსმაჟორული გარემოებისას (გაკვეთილის ჩაშლა,საგანგებო მდგომარეობა,ტექნიკური შეფერხება) ჩანაცვლების ფორმა და ვადა განისაზღვრება სასწავლო ნაწილის გადაწყვეტილებით;

VI. დასკვნითი დებულებები

1.მოცემული წესი სავალდებულოა სკოლის ყველა მასწავლებლისა და მოსწავლისათვის.

2.წესში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია დირექტორის გადაწყვეტილებით. ჩანაწერში მითითებული უნდა იყოს: გაცდენილი გაკვეთილის თარიღი; ჩანაცვლების ფორმა და თარიღი; ჩატარებული თემის დასახელება